ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 9

ქ. თბილისი 01.07.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი.
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას" დირექტორი
9. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
10. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა

დირექტორის მინდობილი პირი - დიანა ხაჯიშვილი

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯი

დირექტორის მინდობილი პირი - ლელა კვირტაია

ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

დირექტორი - ლ. მელივა

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

შპს ოლიმპი თბილისი +

სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი - ლელა წიქარიშვილი

დირექტორი - მ.გუგეშაშვილი

შპს მეცნიერებათა სკოლა

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა

მაკა ტუკვაძე

ციალა გაგნიძე

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი

ნელი ნასყიდაშვილი

ვერა ყურულაშვილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

ნანა მონიავა

ნინო მელქაძე

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

შპს ოლიმპი თბილისი +

მიხეილ ტეფნაძე

თამთა ღონღაძე

შპს მეცნიერებათა სკოლა

ქეთევან ბოტკოველი

ნინო მჭედლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;**
2. **შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
3. **ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**
4. **ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**
5. **შპს ოლიმპი თბილისი + -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
6. **შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს გააცნო შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ჟვანიამ საბჭოს წევრებთან დააყენა შუამდგომლობა, რომ განსახილველ საკითხებს დამატებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N 16 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ ცენტრს მისწერა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სკოლის წარმომადგენლები გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ საბჭოს სხდომაზე დასწრებას და საბჭოს წევრებს სთხოვდნენ საკითხის განხილვის გადადებას შემდეგი საბჭოს სხდომამდე. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას. ასევე შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ გარკვეული მიზეზების გამო საკითხის განხილვა გადაეტანათ ბოლო საკითხად, საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას და დაამტკიცეს ახალი დღის წესრიგი.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N 16 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს ოლიმპი თბილისი + -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
6. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების

   განხილვა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N 16 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ჟვანიამ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N 16 გადაწყვეტილების სათაურში გაიპარა ტექნიკური შეცდომა და სათაური უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით:

„შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ - ეკონომიკურ ინსტიტუტს გაუუქმდეს ავტორიზაცია". საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის N 16 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ - ეკონომიკურ ინსტიტუტს გაუუქმდეს ავტორიზაცია"

2. შპს ბათუმის ქართულ - ამერიკული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ციალა გაგნიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით 30 და 31 მაისს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი- საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და მატერიალური რესურსის შემოწმების მიზნით.
სკოლამ, საბჭოს 2018 წლის 23 მაისის 23-ე გადაწყვეტილებით, მიიღო ავტორიზაცია და განესაზღვრა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 450 მოსწავლით.

დაწესებულება მდებარეობდა ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა № 117-ში, სასწავლო მიზნებისათვის განსაზღვრული ფართი იყო-7280კვ.მ. (ავტორიზაცია მიიღო-4223.97კვ.მ ფართზე.)

სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უსაფრთხო, ჯანსაღი სასკოლო გარემო, რაც გულისხმობდა ნათელ საკლასო ოთახებში განთავსებულ ეკოლოგიურად სუფთა, მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე გათვლილ მერხებს, საბუნებისმეტყველო საგნებისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიების კაბინეტ-ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, თანამედროვე სტანდარტების მქონე სპორტულ დარბაზს და ღია სპორტულ მოედანს, სკოლის

შიდა ეზოს, მოსწავლეთა თავისუფალი გადადგილებისა და დასვენებისთვის, გამართულ სახანძრო სისტემას, 24 სთ დაცვას, სკოლის ყველა მოსწავლისათვის სრულფასოვან სადილს და დასვენების პირობების არსებობას.

მოსწავლეთა რაოდენობის დამატებისთვის, სკოლამ განახორციელა შემდეგი აქტივობები: სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოაწყო სამსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულზე, სადაც 16 საკლასო და 8 მცირე ზომის ოთახები იყო და გათვლილი იყო 234 მოსწავლეზე. დამატებით ორი საკლასო ოთახი მოწყობილი იყო პირველ სასწავლო კორპუსშიც, სადაც იყო 25 საკლასო ოთახი 450 მერხით. სკოლამ დამატებითი მერხების შესაძენად გააფორმა ხელშეკრულება 257 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალურ მერხებსა და სკამებზე. გადახდილი იყო მერხების ღირებულების ნაწილი. განსაზღვრლი იყო სკლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდება-18 მოსწავლე. სკოლას სასწავლო მიზნებისათვის ჰქონდა 37 კომპიუტერი, აქედან 9 შეძენილი იყო ავტორიცაზიის მიღების შემდეგ. კომპიუტერულ კლასში განთავსებული იყო 18 კომპიუტერი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2.ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით სკოლის ადამიანურ რესურს შეადგენდა 100 თანამშრომელი, აქედან 55 პედაგოგი და 16 მოწვეული მასწავლებელი. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავდა 1 წამყვანი, 27 უფროსი და 14 პრაქტიკოსი მასწავლებელი. 3 პედაგოგი ელოდებოდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას. 12 პედაგოგი დარეგისტრირებული იყო მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე. სკოლაში მოქმედებდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სისტემა, რომლის ფარგლებში პერიოდულად ტარდებოდა ტრენინგები. ტრენინგებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაფასებლად ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრება. ღია კონკურსის ჩატარების შედეგად შექმნილი იყო რეზერვი მასწავლებლების ბაზები.

მოსწავლეთა რაოდენობა eshool -ის საინფორმაციო ბაზის მიხედვით შეადგენდა 292 - ს. ხელშეკრულება გაფორმებული იყო 11 მოსწავლესთან, აქედან ოთხს უკვე გავლილი ჰქონდა რეგისტრაცია.

საბჭოს ტავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტროიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33 - ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34 - ე მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ქართულ - ამერიკულ სკოლას (ს/დ 445519537) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით.

3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ნინო მელქაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ნანა მონიავას განცხადებით დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზები არ გააჩნდა. ექსპერტის თქმით, ერთადერთი ხარვეზი იყო ის, რომ ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზს სკოლა აკეთებდა სემესტრის ბოლოს, ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, რომ ყოველი შემაჯამებლის ჩატარების შემდეგ გაეკეთებინათ შემაჯამებლის ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტმა ნანა მონიავამ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N170. აღნიშნულ ფართზე მდებარეობდა: შენობა N1 -საერთო ფართი 1078,48კვ.მ.; შენობა N2 საქვაბე - საერთო ფართი 12 კვ.მ; ღია სპორტული მოედანი სკოლის შიდა ეზოში.

მესაკუთრე იყო - შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“. სკოლა მოიჯარე იყო, იჯარის საგანს წარმოადგენდა მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შენობა-ნაგებობის ნაწილი- შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართით 1078,48კვ.მ. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო

2016 წლის 03 მაისს, დამოწმებული იყო 13.05.2016წ.. იჯარით სარგებლობის უფლება საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა 2019 წლის 03 მაისამდე. წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის მიხედვით თუ მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე ორი თვით ადრე, წერილობით არ განაცხადებდნენ უარს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლებოდა მომდევნო 3 წლის ვადით. ექსპერტის თქმით, საჯარო რეესტრის განახლებულ ამონაწერში იჯარის ამოწურვის ვადად მაინც იყო მითითებული 2019 წლის 03 მაისი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, თვლიდა თუ არა, რომ აღნიშნული სკოლის ფუნქციონირებისთვის იქნებოდა ხელის შემშლელი ფაქტორი. ექსპერტის განცხადებით არ იქნებოდა აღნიშნული ფაქტი სკოლის ფუნქციონირებისთვის სახიფათო გამომდინარე ხელშეკრულებიდან, მაგრამ მათ რეკომენდაციის სახით სკოლის წარმომადგენლებს ურჩიეს გაესწორებინათ ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (ს/კ: 204571588) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ოლიმპი თბილისი + - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ვერა ყურულაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განცხადებით დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები არ გააჩნდა. ექსპერტის თქმით, 2018-2019 სასკოლო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო 26 ფინანსური კლასის სწავლება. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იყო 19 მოსწავლით. ყველა კლასს ჰქონდა საკუთარი საკლასო ოთახი და ჰყავდა დამრიგებელი.

აღნიშნული სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სკოლის საათობრივი ბადე შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არასავალდებულო აქტივობები ქართული ცეკვის წრე და ჭადრაკი.

პირველი უცხოური ენის სტატუსით ისწავლებოდა ინგლისური ენა, ხოლო მეორე უცხოური ენის სტატუსით რუსული ენა.

2018-2019 სასწავლო წლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არჩევით საგნებად სთავაზობდა სახელმწიფოს და სამართალს, XIX-XX საუკუნის დასავლურ ლიტერატურას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწესებულება მოსწავლეებს სპორტის სახეობებად სთავაზობდა ფიზ. აღზრდას (სპორტი), კალათბურთს, ჭადრაკსა და ცურვას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება იმართებოდა საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით და სავლდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის.

საგნების სწავლებისათვის, დაწესებულებაში მოქმედ საგნობრივ კათედრებს შემუშავებული ჰქონდათ ე.წ. სილაბუსი და თემატური გეგმები. წარმოდგენილი ორი დოკუმენტის ერთობლიობით განსაზღვრული წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო შინაარსი შეესაბამებოდა საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები ქრ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ

სკოლა მდებარეობდა ქლაქ თბილისში, ანა პოლიატკოვსკაიას N3 მდებარე ხუთსართულიან შენობაში, სკოლაში ფუნქციონირებდა ბაღი და უცხოელი მოსწავლეებისათვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა. ამ საჭიროებისათვის, კერძოდ ბაღისათვის იყო გამიჯნული ფართი სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. დღეისათვის შეცვლილი იყო ფართი ბაღის ფუნქციონირებისათვის და გამოყოფილი იყო ფართი უცხო ქვეყნის მოსწავლეებისათვის. საბავშვო ბაღისა და მოსამზადებელი ჯგუფის აღსაზრდელებისთვის გამოყოფილი იზოლირებული სივრცე მდებარეობდა შენობის პირველ სართულზე, ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. გამოყოფილი იყო ერთი ოთახი ბაღისთვის და 4 ოთახი მოსამზადებელი ჯგუფისთვის. აღსაზრდელები დღის გარკვეულ მონაკვეთში განრიგის მიხედვით იყნებდნენ სასადილო სივრცეს. ქართულ ენაში მოსამზადებლად საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 საკლასო ოთახი გამოყოფილი იყო მესამე სართულზე.

საბჭოს წევრმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდათ თუ არა შეხება სკოლის მოსწავლეებსა და ქართული ენის შემსწავლელ უცხოელებს ერთმანეთთან საგაკვეთილო პერიოდში შეხება. სკოლის წარმომადგენლის თქმით გარკვეულწილად ხვდებოდნენ სკოლის მოსწავლეები და უცხოელი მსმენელები ერთმანეთს და აღნიშნულ

ვითარებაში აუცილებლად სკოლის მიერ გამოყოფილი მეთვალყურეები თვალს ადევნებდნენ მათ გადაადგილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოლიმპი თბილისი + - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ოლიმპი თბილისი + - ის (ს/კ: 200240122) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ნინო მჭედლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით დაწესებულებას ხარვეზი არ გააჩნდა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. მისი თქმით, შპს მეცნიერებათა სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას №9ა-ში, 1122.00 კვ.მ. მიწის ფართზე განთავსებულ 2052.30 კვ. მ 4-სართულიან შენობაში, რაც ზუსტდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით . სკოლის ფუნქციონირებისათვის დაწესებულებას შენობა დაქირავებული ჰქონდა 12 წლის ვადით შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტისგან. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ასევე უზუფრუქტის ხელშეკრულება შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტთან. ხელშეკრულების თანახმად, „მესაკუთრე" დროებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადასცემდა, ხოლო „უზუფრუქტუარი" იღებდა „უზუფრუქტუარის" არსებობის ვადით: შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ დანართით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა დანართიც, რომელშიც ჩამოთვლილი იყო გადაცემული ქონება.

შპს მეცნიერებათა სკოლაში სულ 32 ოთახი იყო, მათ შორის: 14 საკლასო ოთახი, 2 ოთახი განაყოფებისთვის, 1 ქიმიის კაბინეტი, 1 ბიოლოგიის კაბინეტი, 1 ფიზიკის კაბინეტი, 1 კომპიუტერული ოთახი, 1 ენების კაბინეტი, ბუფეტი, საკონფერენციო მოწყობილობების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა, დაცვის ოთახი, დირექტორის კაბინეტი,

სამასწავლებლო, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, კათედრების კაბინეტი. პირველი კლასელების 2 ოთახს ახლდა მოსასვენებელად და გასართობად მოწყობილი მცირე ოთახები.

დაწესებულებაში განთავსებული იყო 343 ინდივიდეალური მერხი და 343 სკამი, 63 სკამით იყო აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი. ყველა კაბინეტი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო ასევე 21 დაფა, 3 მონიტორი, 3 პროექტორი, 2 საპროექციო ეკრანი. საბუნებისმეტყველო კაბინეტები აღჭურვილი იყო შესაბამისი თვალსაჩინოებებით. დაწესებულებას სხვადასხვა კაბინეტში განთავსებული ჰქონდა 33 კომპიუტერი და 19 პორტატული კომპიუტერი.

შპს მეცნიერებათა სკოლას ჰქონდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი 200 კვ.მ, რომელიც განთავსებული იყო სკოლის ეზოში. ასევე შენობის პირველი სართულის დერეფნის ბოლო გათვალისწინებული იყო მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. სპორტის სახეობებად სკოლას არჩეული ჰქონდა ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი. მეცადინეობებისთვის დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი სპორტული ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები არ გააჩნდა. მისი თქმით,

სკოლამ ავტორიზაციის ვიზიტის დროს წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის მისიის მთავარი ორიენტირი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება.
დაწესებულება გეგმავდა 5-დღიან სასწავლო კვირას. 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 35-ით, ხოლო I და XII კლასებისთვის – 30 კვირით.
გარკვეული მიზეზების გამო, სასწავლო პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იყო შაბათი დღის სასწავლო დღედ გამოცხადდება.

სკოლაში III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთი იყო, ხოლო თუკი რომელიმე კლასში განისაზღვრებოდა მე-7 გაკვეთილი, მისი ხანგრძლივობა იქნებოდა 35 წუთი. პირველ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთი იყო, ხოლო II კლასში – 40 წუთი.

სკოლაში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა 5 წუთი იყო, მესამე გაკვეთილის მერე - 20 წუთი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისიიდან გამომდინარე, საათობრივ ბადეში საბუნებისმეტყველო საგნებს დამატებული ჰქონდა თითო საათი ყველა კლასში. რაც შეეხებოდა მე-12 კლასში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას, მოსწავლეთა სურვილისა და ინტერესების მიხედვით გათვალისწინებული იყო დამატებითი მომსახურებაც, კვირაში 2 საათის დატვირთვით. სკოლა მზაობას გამოთქვამდა არჩევითი საგნების შეთავაზებასთან დაკავშირებით. ამისთვის შექმნილი იყო კითხვარები IX-XII კლასელებისთვის. კითხვარებში განსაზღვრული იყო ყოველი შეთავაზებული საგნის მოდულის მიზანი და მისაღწევი შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომარ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტმა ნინო მჭედლიშვილმა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსი სასწავლო გეგმით გასაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი იყო. სკოლის სტრუქტურის და გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად დასაქმებული იყო 10 თანამშრომელი: დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, დაცვის ოფიცერი და დამლაგებელი, ხოლო პედაგოგიურ საქმიანობას განახორციელებდა 24 თანამშრომელი. პედაგოგოგთა დიდი ნაწილი შერჩეული იყო ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს შრომის კოდექსის მე- 6 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებები გაუფორმდა 24 პედაგოგს. აქედან 1 წამყვანის სტატუსი ჰქონდა, 9-ს - უფროსის ,აქედან 2 დოქტორი იყო და სქემაში ჩართვისთანავე მიენიჭებოდა უფროსის სტატუსი, 9 - პრაქტიკოსი, 5 პედაგოგი მოწვეულის სტატუსითა იყო, აქედან 2 დოქტორანტი იყო 3-ს კი დამთავრებული ჰქონდა 60 კრედიტიანი პროგრამა და დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე).

ექსპერტის თქმით, სკოლაში ადამიანური რესურსების შერჩევა ხდებოდა როგორც ღია კონკურსით, ასევე სკოლის დირექტორის მიერ გასაუბრების გზით. ადამიანური რესურსების შერჩევისას ხდებოდა კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმება და

შეფასება. სამუშაოდ მიღებულ ყველა დასაქმებულთან ფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასაქმებულზე იხსნებოდა პირადი საქმე, რომელიც განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად მოიცავდა მისი დანიშვნის, გადაყვანის, წახალისების და ა.შ. ბრძანებების ასლებს. ამავე დოკუმენტით განსაზღვრული იყო დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების სახეები და წახალისების ფომები.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. არცერთი მარეგულირებელი დოკუმენტით არ იყო განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაო, მისი ანაზღაურების წესი და პირობები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესში გაჩენილიყო ჩანაწერი პერსონალისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ და ასახულიყო თანამშრომლების ხელშეკრულებებში. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მეცნიერებათა სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 345-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მეცნიერებათა სკოლას (ს/კ:405317982) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 345-ით.

6. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და თამთა ღონღაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, როდესაც დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა, სასწავლო პროცესის განხორციელების უფლება მიიღო სწავლების სამივე საფეხურზე. ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ხუთ საკლასო ოთახში : VII, VIII, IX, X და XI კლასებში. მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებითი საფეხური სკოლაში არ ფუნქციონირებდა. XII კლასის მოსწავლეებს სწავლა დასრულებული ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ მიმდინარეობდა დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ისედაც მცირე კონტიგენტიანი იყო, გადასახადი იყო ძვირი და სკოლისთვის მიმდინარე სასწავლო წელს არავის არ მიუმართავს პირველ კლასში ჩასარიცხად, ხოლო დაწყებითი საფეხურის სხვა კლასებიდან მშობლებმა არჩიეს სხვა სკოლებში ბავშვების გადაყვანა. მისი განმარტებით მშობლები არჩევდნენ დაწყებითი საფეხური სხვა სკოლებში დაეძლიათ ბავშვებს და საბაზო საფეხურიდან გადმოეყვანათ შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯიში ბავშვები. სკოლის წარმომადგენლის თქმით, ამის გამო სკოლის მფლობელმა მიიღო გადაწყვეტილება მომავალის სასწავლო წლიდან დაეწია გადასახადი.

ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით

მიმდინარე სასწავლო წელს გიმნაზიაში ირიცხებოდა 49 მოსწავლე, მათგან ოთხი მე-12 კლასელი. დანარჩენი 45 მოსწავლე გადანაწილებული იყო VII, VIII, IX, X, XI კლასებში.

ყველა კლასში ჩატარებული იყო ყველა დაგეგმილი შემაჯამებელი დავალება. მოსწავლეები შეფასებულები იყვნენ და ქულები აღრიცხული იყო საკლასო ჟურნალებში.

ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ფორმა ყველა საგანში იყო წერითი ფორმით. მასწავლებლებლებს გაეწიათ რეკომენდაცია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მე-8 (შემაჯამებელების მრავალგვარობა) და მე-10 (შემაჯამებელი დავალებების მოთხოვნები) გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

ექსპერტ თამთა ღონღაძის თქმით,

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საქმისწარმოების წესი, თუმცა არ მიმდინარეობდა ამ საქმისწარმოების წესის დანერგვა სრულად. კერძოდ, არ ხდებოდა ხელშეკრულებების, განცხადებების, გამოცემული აქტების, გასული და შემოსული კორესპონდენციისა და ბრძანებების აღრიცხვა, შესაბამისი წესის მიხედვით, ანუ არ ხდებოდა გამოცემული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოება.

არ იყო ანბანური წიგნი, მოსწავლის პირად საქმეებზე არ იყო ანბანური ჟურნალის მიხედვით მინიჭებული ნომერი.

სკოლის დირექციას გაეწია რეკომენდაცია, საქმისწარმოების წესის მიხედვით მომხდარიყო ხელშეკრულებების, განცხადებების, გამოცემული აქტების, კორესპონდენციისა და ბრძანებების აღრიცხვა. ასევე გაეწიათ რეკომენდაცია ანაბური წიგნის წარმოების შესახებ, სადაც ფიქსირდებოდა მოსწავლეთა მობილობა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, აღმოფხვრილი იყო, თუ არა აღნიშნული ხარვეზი ამ დროისთვის. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და მუშაობა მიმდინარეობდა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

საბჭოს ტავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებმა შეთანხმდნენ და სკოლის წარმომადგენელს მიმართეს, საკითხის კენჭისყრაზე დაყენების შემდეგ, თუ სკოლას ავტორიზაცია არ გაუუქმდებოდა, სკოლის ადმინისტრაციას საქმისწარმოების წესთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ცენტრში უნდა წარმოედინა 20 დღის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის (ს/კ: 220389559) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე